საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-684

18/05/2021

ქ. თბილისი

ფოთის ნავსადგურის ადმინისტრაციის ფოთის ნავსადგურის ნავთობპროდუქტების გადასატვირთ და შესანახ ტერმინალზე გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმების შესახებ

2021 წლის 13 აპრილს სამინისტროს განცხადებით მომართა სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ გენერალურმა დირექტორმა და ითხოვა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2000 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ფოთის ნავსადგურის ადმინისტრაციის ფოთის ნავსადგურის ნავთობპროდუქტების გადასატვირთ და შესანახ ტერმინალზე გაიცა №1 (20.01.2000) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, თუმცა მინისტრის შესაბამისი ბრძანება გამოცემული არ არის. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პერიოდისთვის დასკვნები გაცემულია შესაბამისი ბრძანების გარეშე, განმცხადებლის მომართვის საფუძველზე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ფოთის ნავსადგურის ადმინისტრაციის ფოთის ნავსადგურის ნავთობპროდუქტების გადასატვირთ და შესანახ ტერმინალზე გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №1; 20.01.2000);
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი